

COVID-19-ის მანიფესტაცია დაავადებული ბავშვების პირის ღრუს ლორწოვანზე

თამარ ოქროპირიძე ^{1,*}, ბესო ქმოსტელი ¹,
ალექსანდრე ლეონიძე ¹, ხათუნა ტვილდიანი ¹, მარიკა კალანდაძე ¹,
მერაბ მერაბიშვილი ¹, გიორგი მოდებაძე ¹

¹ სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, თბილისი, 0114, საქართველო

* ელ. ფოსტა: tamaraokropiridze@gmail.com

DOI: [10.56580/GEOMEDI18](https://doi.org/10.56580/GEOMEDI18)

აბსტრაქტი

ახალი კოროვირუსული ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით, ასევე იზრდება COVID-19-ით გამოწვეული პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებიც. COVID-19-ით გამოწვეული პირის ღრუს ლორწოვანის პათოლოგიის ეფექტური დიაგნოსტიკა და რაციონალური ფარმაკოთერაპია აქტუალური პრობლემაა სტომატოლოგებისთვის. ამ ნაშრომში, კლინიკური და ლაბორატორიული მეთოდების საფუძველზე, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა ჩატარდა 19 პაციენტში, რომლებსაც ადრე ჰქონდათ COVID-19. გამოკვლევის შედეგად COVID-19-ით დაავადებულ პაციენტებში გამოვლინდა მორფოლოგიური ელემენტები პირის ღრუს ლორწოვანზე ორალურ გამოვლინებებს. მიღებული მონაცემები ადასტურებს კლინიკური გამოჯანმრთელების შემდეგ ამ კატეგორიის პაციენტებში სტომატოლოგიური გამოკვლევის ჩართვის აუცილებლობასა და მიზანშეწონილობას [1-3]. უკიდურესად მძიმეა მწვავე რესპირატორული ინფექცია გამოწვეული SARS-CoV-2 კორონავირუსით. SARS-CoV-2 ვირუსი გამოირჩევა სხვადასხვა ორგანოების დაინფიცირების ფონზე დაზიანების უნარით, როგორც პირდაპირი ინფექციის, ასევე ორგანიზმის იმუნური პასუხის მეშვეობით. ეს დაავადება შეიძლება გამოვლინდეს როგორც მსუბუქი, ასევე მძიმე ფორმით. კოვიდის ერთ-ერთი ხშირი გართულებაა ვირუსული პნევმონიის განვითარება. კორონავირუსს ასევე შეუძლია დააზიანოს პირის ღრუს ლორწოვანი გარსი. პათოგენური აგენტი სხეულში შედის ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტ 2-ის ზემოქმედებით, რომელიც ლოკალიზებულია როგორც ალვეოლისა და ფილტვის სტრუქტურების ზედაპირზე, ასევე პირის ღრუს ეპითელურ უჯრედებზე, სადაც ის იწყებს აქტიურ გამრავლებას [5]. ახალი კოროვირუსული ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა რიცხვი სტაბილურად იზრდება [4-6].

საკვანძო სიტყვები

კორონავირუსი, კანდიდოზი, ჰალიტოზი, ქსეროტომია, კოროვირუსული ინფექციის გამოვლინებები პირის ღრუში.

შესავალი

ექიმების განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაავადების გამოვლინებას პაციენტებში, რომლებმაც გადაიტანეს COVID-19. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის პათოლოგიების მკურნალობა უნდა ჩატარდეს დეტალური ეტიოპათოგენეზური მიდგომით.

კვლევის მასალა და მეთოდი

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სტომატოლოგიის კლინიკის ბაზაზე პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებთან დაკავშირებული საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში გაიმართა პაციენტების მიღება.

ელემენტების გამოვლინება პირის ღრუში: მიღებული 19 პაციენტი (12 გოგონა და 7 ვაჟი) დაავადებული იყო COVID-19-ით, მათი ასაკი მერყეობდა 5-დან 15 წლამდე და კოვიდის ფონზე აღენიშნებოდათ სხვადასხვა მორფოლოგიური ელემენტების გამოვლინება პირის ღრუში.

პაციენტების სტომატოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა ზოგადი სქემის მიხედვით, მათ შორის პირის ღრუს ლორწოვანი გარსის გამოკვლევა (ფერი, ტენიანობა, დაზიანების ელემენტების არსებობა და ლოკალიზაცია) და კბილების მდგომარეობის შეფასება (პირის ღრუს ჰიგიენის მდგომარეობა, სტომატოლოგიური რბილი და მაგარი ნადებების არსებობა, ორთოპედიული კონსტრუქციების არსებობა და ხარისხი). ყველა პაციენტს უტარდებოდა ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიული მეთოდებით კვლევა.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ინდივიდუალური მიდგომის პრინციპების გათვალისწინებით, პაციენტებს დაენიშნათ კომპლექსური პათოგენეზური და ეტიოტროპული მკურნალობა. მათ მიეცათ რეკომენდაცია პროფესიული ჰიგიენის ჩასატარებლად.

შედეგები

დაკვირვების ქვეშ მყოფი პაციენტები უჩიოდნენ სხვადასხვა გამონაყარს, ნადების და ეროზიების არსებობას ლორწოვანზე. ანამნეზიდან გაირკვა, რომ პაციენტებს ადრე

ჰქონდათ კორონავირუსი. იმავდროულად, არ დაფიქსირებულა სტომატოლოგიური ავადობა რადგან პაციენტებს არ მიუმართავთ კოვიდის მწვავე პერიოდში. ანამნეზიდან ჩანს, რომ მორფოლოგიური ელემენტების გამოვლინება მოხდა კოვიდის მკურნალობის შემდეგ, მორფოლოგიური ელემენტების გაჩენის დროს. მიუხედავად იმისა, წარმოიქმნა ისინი COVID-19 დაავადების სიმალის დროს, თუ გამოჩნდნენ მკურნალობის შემდეგ. სამწუხაროდ, დაავადების მწვავე პერიოდში პაციენტების გამოკვლევა შეუძლებელია, ინფექციის გადადების მაღალი რისკის გამო, ვინაიდან ვირუსი ჰაერწვეთოვანი გზით გადადის. ასევე არ გვაქვს სტატისტიკური კვლევა იმის თაობაზე, არის თუ არა სტომატოლოგიური დაავადება კოროვირუსული ინფექციის პირველადი სიმპტომი, თუ უნდა ჩაითვალოს მეორად გამოვლინებად ინფექციის ან მედიკამენტების ფონზე.

პაციენტთა უმრავლესობამ (97%), პირველ რიგში, აღნიშნა უსიამოვნო სუნის, სავარაუდოდ, გემოვნებისა და ყნოსვის მგრძობელობის დაქვეითების გამო. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დარღვევები (სუნი და გემო) აბსოლუტური და შედარებითია.

ცნობილია, რომ კორონავირუსის ინფექცია იწვევს გემოსა და ყნოსვის მგრძობელობის დროებით დაქვეითებას [1]. ყველა პაციენტმა აღნიშნა გემოვნების აღდგენა გამოჯანმრთელების შემდეგ სხვადასხვა დროს, მაშინ როცა პაციენტთა 25% აღნიშნავდა გამოჯანმრთელების შემდეგ ყნოსვის დაქვეითებას.

ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგად პაციენტების 61%-ს დაუდგინდა კანდიდოზი. Candida-ს გვარის სოკოები ჩვეულებრივ გვხვდება პაციენტების 40-60%-ში და წარმოადგენს ოპორტუნისტული პათოგენების დამახასიათებელ სიმპტომებს. არ არსებობს მტკიცებულების საფუძველი, რომელიც არის კანდიდოზის განვითარების ძირითადი ფაქტორი: COVID-19 ვირუსი თუ ან ანტიბაქტერიული პრეპარატების მიღება (პნევმონიისთვის). პაციენტები უჩივიან წვას, ტკივილს, გემოს ცვლილებას, სუნს.

ერთემატოზული გამონაყარი პაციენტებში განსხვავებულია. რიგ შემთხვევებში მაგარ სასაზე აღინიშნა მილიმეტრიანი პეტექიები ერთემის გარეშე, არაანთებითი ლორწოვანის ფონზე. ასევე, ამ პაციენტში აღნიშნა პეტექიების გამოჩენა COVID-19-ის მწვავე პერიოდამდე, რაც გამორიცხავს ლორწოვანის რეაქციას წამლებზე. ვირუსული ეტიოლოგია, ალბათ, პათოლოგიის განვითარების ძირითადი მიზეზია.

პაციენტებს, რომლებსაც აქვთ კორონავირუსი, მის ფონზე ყველაზე ხშირად ვითარდება ქრონიკული მორეციდივე ავთოზური სტომატიტი (CRAS). ამ პათოლოგიის დიაგნოზის დასმა არ არის რთული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაავადების განვითარების ეტიოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს ჰუმორული იმუნიტეტის დარღვევა, როგორც ადგილობრივად, ისე ზოგადად. ეტიოპათოგენების წამყვანი ფაქტორია ჯვარედინი

იმუნური რეაქციის მოდულაცია, რის შედეგადაც პირის ღრუში წარმოიქმნება აფთები. უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტთა 100%-ს ჰქონდა პაროდონტის დაავადება. პაციენტის ასაკიდან გამომდინარე კორონავირუსის სიმძიმის შესაბამისად ვითარდებოდა სტომატოლოგიური ავადობაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Belotserkovskaya Yu. G., Romanovskikh A. G., Smirnov I. P. COVID-19: New Coronavirus Respiratory Infection: New Data on Epidemiology, Clinical Course, and Case Management. Consilium Medicum, 2020, No. 3, pp. 12–20. (In Russian; abstract in English).
2. Vakhrushina E. V. immunocorrective therapy of patients with recurrent aphthous stomatitis: author. dis. cand. honey. Clinical and laboratory substantiation of immunocorrective therapy in patients with recurrent aphthous stomatitis: Abstract of the thesis. Moscow,
3. Lavrovskaya Ya. A., Romanenko I. G., Lavrovskaya O. M., Pridatko I. S. Candidiasis of the oral mucosa with dysbiotic changes. Therapeutic Journal, 2017, No. 1, p. 3, pp. 27–30. (in Russian; abstract in English).
4. Morozova S. V., Meitel I. Yu. Xerostomia: causes and methods of correction. Medical Council, 2016, No. 1, p. 1, pp. 124–128. (In Russian; abstract in English).
5. Nikiforov V. V., Suranova T. G., Mironov A. Yu., Zabozaev F. G. - New coronavirus infection (COVID-19): etiology, epidemiology, clinic, diagnosis, treatment and prevention]. Moscow, 2020. 48 p. (In Russ.; abstr. in Engl.).
6. Ushakov R. V., Eliseeva N. B., Plevaya N. P. and others. Modern methods of diagnosis, elimination and prevention of halitosis: Moscow, 2016, 81 p.